ეშმაკი. თაგუნა

ეშმაკი

ფასი 1 მან. და 50 კაპ.

რვეული I. ▦ თებერვლის 8. 1919 წ. ▦

დაწვრილშვილება.

ნიკოლიზი: ერთი შემოჰხედე, გადია, როგორ მგავს! პირწავარდნილი მამაა! გვირგვინიც რომ ეგრე უხდება!
გადი: არა, შენ ეგ ხახე: სად მაგის მსგავსება და სად ამისი! აი, ნამდვილი მამა ეს არის. ეგ გვირგვინიც ზედ ამის თავზეა გამოჭრილი. შოიტა დავახურო!

† რუზველტი.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ
შტატების ყოფილი პრეზიდენტი,
რუზველტი, დათანხმდა არარატის
რესპუბლიკის პრეზიდენტობას.
სომხური გაზეთის ცნობა.

გარდაიცვალა რუზველტი.
უკანასკნელი ცნობა.

დაუნდობელმა სიკვდილმა სწორედ მაშინ შეაჩერა რუზველტის გულის ცემა, როდესაც მის ნიადაგ საოცნებო მიზანს და ცხოველ-მყოფელ სულის სწრაფვას ხორცი უნდა შესხმოდა.

სულ რამდენსამე თვეს, ან იქნებ, მხოლოდ რამდენსამე კვირასლა უნდა გაევლო და რუზველტს შეესრულდებოდა დიდი ხნის გულის წადილი: იგი გახდებოდა არარატის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ჯერ კიდევ ბალღი იყო, სულ 10—12 წლისა იქნებოდა, როდესაც პირველად ჩაენერგა გულში ეს იდეა და შემდეგ, ცხოვრების მთელ გზას ისე უნათებდა, როგორც ლამპარი ღამის წყვდიადს.

14 წლის რუზველის დღიურში ვკითხულობთ:

„დღეს მასწავლებელმა სკოლაში შემდეგი თემა გვაწერინა: „ჩემი იდეალი“. მე, რა თქმა უნდა არ გავუმჟღავნე ჩემი სანეტარო და ერთად-ერთი ოცნება და არც გავუმხელ ვისმე, ვიდრე მის გახორციელების დრო დადგებოდეს. „ჩემი იდეალი, დავუწერე მე, ჩრდილო-ამერიკის შტატების პრეზიდენტობა არის და ეს აზრი მასულდგმულებს-მეთქი ნიადაგ“, გულში კი ვფიქრობდი: „კეცე ჰაიასტან! რად მინდა სიცოცხლე, თუ სომხეთის პრეზიდენტობას ვერ ვეღირსები!“ უფალო, შემინდე ესოდენ კადნიერი ზრახვა!“

როგორც მიჯნური სიყვარულის გრძნობას, ისე საიდუმლოთ ატარებდა გულში ამ უკანასკნელ დრომდე განსვენებული რუზველტი ამ საოცნებო მიზანს და თვით უახლოესმა მისმა მეგობრებმა, როგორიც არიან, მაგალითად, დავითხანიანი და ავეტისიანი, უკანასკნელ დრომდე არაფერი იცოდნენ ამისი.

ბ. ავეტისიანმა, ჩვენ რომ შეეკითხეთ ამის გამო, პატივი დაგვდო და შემდეგი გვიპასუხა:

— რუზველტის პრეზიდენტობა სომხეთში ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ამბავი იყო. ის კი ვიცოდი, რომ ვილსონიცა და ლლოიდ-ჯორჯიც ჩხირკედელაობდნენ ამ ადგილისათვის და გერმანიასთანაც ამის გამო დაიწყეს ომი, მაგრამ რუზველტი ისე ხელოვნურათ ფარავდა თავის ზრახვას, რომ არც მე და არც დავითხანიანს დღემდე არა გვცოდნია-რა ამისი: ჩვენ ვიცნობდით რუზველტს, როგორც ერთ მებრძოლ დაშნაკცაკანთაგანს, რომელმაც სხვებთან ერთად დააარსა ჩვენი პარტია და შემდეგ მხურვალე მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში, ხოლო თუ ასე შორს წავიდოდა მისი პრეტენზიები—ეს კი არ გვეგონა. ახლა კი მესმის, რათ მიიღო რუზველტმა სომხეთის ქვეშევრდომობა გასულ წლის ივნისში!“

ბ-ნ ავეტისიანისა და დავითხანიანის ინტერვიუსაგან ბევრი რამ ახალი გამოირკვა ჩვენთვის რუზველტის ცხოვრებიდან; მკითხველს ეხსომება, რა მითქმა-მოთქმა და ინტერესი გამოიწვია ამ რამდენიმე წლის წინათ რუზველტის გამგზავრებამ აფრიკაში. მაშინ სწერდნენ, თითქოს რუზველტი აფრიკაში სანადიროთ წასულიყოს. ბ. ავეტისიანის სიტყვებიდან ნათლად გამოირკვა, რომ „აფრიკა“ და „ნადირობა“ განზრახ მოუგონია მაშინ რუზველტს, ნამდვილათ კი სომხეთში წასულა საიდუმლოთ, ანდრანიკთან, და ზინვორათ ჩაწერილა მის რაზმში. ზინვორობის დროს თავის მამაც სარდლის ხელმძღვანელობით რუზველტს მაჰმადიან ბავშთა ყურების ორ წყვეტილი აკიდო აუსხამს და ამერიკაში წაუღია.

როდესაც რუზველტმა არევნებში გაიმარჯვა და პრეზიდენტათ გავიდა, ყველას ეგონა რომ მან მიაღწია უაღრეს წვერვალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურის მთაგრეხილისას და ქვეყანა აფრთოვანებით ულოცავდა ბრწყინვალე გამარჯვებას. სწორეთ ამ დროსს რუზველტი თავის დღიურში სწერდა:

„დავიღალე ამდენი მოლოცვით! რა გულუბრყვილოა ეს ხალხი! ყველა დარწმუნებულია, რომ ამერიკის პრეზიდენტობა ჩემთვის ის გვირგვინია, რომლის მიღწევას უმაღლეს სიამეთა და კმაყოფილებათ ვისახავდი ჩემს სიცოცხლეში. ის კი არ იციან, რომ ეს ჩემი პრეზიდენტობა მხოლოდ რეპეტიციაა იმ ჭეშმარიტად სანუკვარ იდეალისათვის, საითკენაც შეუჩერებლივ მივყევარ ბედის ვარსკვლავს! დიაღ, ეს არის რეპეტიცია, ეს მხოლოდ შკოლაა, სადაც უნდა გავიწვრთნე და მოვამზადე რათა ღირსი გავხდე ხელთ ვიპყრა საჭე არარატის რესპუბლიკის მმართველობისა“!

მართლაც რუზველტი ჩინებულათ გამოეწრთო ამ შკოლაში...

მას შემდეგ, რაც ინგლისი და მერე ამერიკა მსოფლიო ომში ჩაებენ სომხეთის საკითხის გადასაწყვეტათ, დინჯსა და დარბაისელ რუზველტს მოუთმენლობა, ნერვიანობა დაეტყო. რაც უფრო ახლო იყო მიზანი, მით უფრო აუტანელი ხდებოდა ლოდინი. რუსეთის რევოლიუციის დაწყების შემდეგ კიდევ უფრო მჭიდრო კავშირი შეიკრა რუზველტსა და ხელმძღვანელ დაშნაკცაკანთა შორის. 1918 წლის აპრილში, ბაქოს ამბების შემდეგ, იგი სწერდა ანდრანიკს:

„ჰნკერ ანდრანიკ! თუმცა შორსა ვარ, მაგრამ ჩემი სული და გული თქვენთან არის! ბაქოში მომხდარ დიდებულ ამბებს ისე განვიცდი, თითქოს მეც მონაწილე ვყოფილიყო ამ ამბებისა: თვალწინ მიდგას შეუდარებელი სურათი ორსული ქალების ხიშტებზე აგებისა და მათი ნაყოფის მუცლიდან გამოღადვრისა. კურთხეულ იყოს თქვენი მარჯვენა, დევ გმირო ზგბრძოლნო სომხეთისაო! შემატყობინეთ, რამდენი წყვილი ძუძუ მოსჭერით მაჰმადიან ქალებს? ნეტა როდის ვეღირსები თქვენს ნახვას“!

საქართველოს ტერიტორიაზე თავდასხმის იდეაც და შემდეგ თვით ომის გეგმაც რუზველტისაგან იყო დაწვრილებით მოფიქრებული და შემუშავებული.

აი უკანასკნელი წერილიც რუზველტისაგან დროსთვის გამოგზავნილი:

„ძვირფასო ამანაგო! გული აღარ იცდის ბუდეში! ვილსონისა და ლოიდჯორჯის კანდიდატურა დამარცხდა! მე გავიმარჯვე, ჰე! აი, როდის უნდა მილოცავდეს მთელი ქვეყანა! მე—არარატის რესპუბლიკის პრეზიდენტი! საბოლოო ოცნება სინამდვილეთ იქცა! რამდენიმე კვირა კიდევ და მე ჩემს ძვირფას ქაჩაზნუნის და ტიგრანიანს ამოვუდგები გვერდში; მშვიდობით საუკუნოთ ხავს-მოდებულო ნიუიორკო! წინ, კულტურის ცენტრისაკენ, ერევნისაკენ! ნეტავ თუ გაუძლებს გული ამ ბედნიერებას!!!

შენი რუზველტი..“

საუბედუროთ, მართლაც ვერ დაიტია რუზველტის გულმა ეს მოზღვავებული ბედნიერება და საუკუნოთ შესწყვიტა ცემა!

მისი უკანასკნელი წუთები გულქვა ადამიანსაც კი ააჩუყებდა. მომაკვდავი დიდ ხანს უძრავათ იწვა, თვალები შორს მიეპყრა და იღიმებოდა, თითქო რაღაც საყვარელ სურათს ჰხედავს სიცოცხლეშიო. ბოლოს წამოიწია, ხელები ზე აღაპყრო და ნელის, მაგრამ მკაფიო ხმით წარმოსთქვა: „ჰაიასტან... ჰაიასტან!.. ასტვაც, ტერასტვაც!“ და საუკუნოთ დახუჭა თვალები.

ჭეშმარიტათ დიდი გლოვა და ურვა ჰმართებს სომხის ერს და განსაკუთრებით „დაშნაკცუთუნს“ ამ აუნაზღაურებულ დანაკლისისათვის: რუზველტის დაკარგვით სომხეთმა დაჰკარგა ერთი საუკეთესო მოღვაწე დაშნაკცაკანთაგანი!

საუკუნო იყოს ხსენება მისი.

ეს რა დრო დაგვიდგა,
მოვკვდე ლამის არი:
როგორ ცხადად იღებს
ჩვენი კამისარი...

შ ა რ ა დ ა

ორ მარცვლოვანი სიტყვაა
ქვეწარმავალთა ჯიშისა...
(ზხამი არა აქვს და მისთვის
არც მომგვრელია შიშისა.)
კლდის ნაპრალებში ბინადრობს,
უკვარს მზე ჯოჯოხეთური...
(ზაფხულის ბუღი როცა სდგას,
მაშინ აქვს ყოფნა მეფური.)
ვინაც ვერა სცნო, მას ვურჩევ
სარკეს მიაპყროს თვალია...
(იქ დაინახავს უეჭველ,
თუ ქვეყნად სამართალია.)
შუა გასჭერით ეგ სიტყვა
მწარ შრომით მონაპოვარი
და შარადისთვის აიღეთ
ქა,თუ ის ნახევარი.

———

აწ ნოტის ნიშანს თუ მოგთხოვთ,
ეგ ნურვის გაუკვირდება
(ვინც „დო“-ყლაპიათ ცნობილ არს
პოვნა არ გაუჭირდება.)

———

მსურს ღამის ფრინველს (თავდიდას)
ბოლო მოჰკვეცოთ სრულათა
(და თქვენს ძველლეს მიართვათ
ის ქუდის სა!ყაულათა.)

ლურჯთვალა მინდვრის ყვავილი
(ეხვად რო აფრქვევს სურნელსა)
შუა გაჰკვეთეთ და ნაწილს
დაეპატრონეთ პირველსა.

———

უკვე მზათ არის შარადა.
შეჰხედეთ! დასტკბით ნახვითა!
(მე ვიცი: გული აგვევსო
თქვენ ეშმაკური ზრახვითა!)
ის, საოცნები საგანი,
მაგ თქვენი ხარბი თვალისა,
(მატარებელი „მესამე“,
ანუ „გარეშე ძალისა“)
აუწერელის სიდინჯით
ზომავს თფილისის ქუჩებსა
და მედიდურის ღიმილით
შეათამაშებს ტუჩებსა;
თითქო ამბობდეს: —ქართველნო,
თავს ნუ იწუხებთ ტყვილათო,
ცალადაც აღარ გვკადრულობთ,
გსურთ თითოს გერგოთ წყვილათო!..
ამაო არის ოცნება,
ჩვენზე ნუ გრჩება თვალიო,
მოსული გვნახეთ, დრო მოვა
გვიხილოთ მისავალიო.
უმჯობესია მიხედოთ
თქვენს ეზოსა და კერასო,
თორემ ჩვენს პატრონს, იცოდეთ,
ვერ გამორჩებით ვერასო“.

———

ჩვენ ამდაგვარი სიმღერა
წინეთაც ხშირათ გვსმენია,
მაგრამ წასვლის დროს მოსულებს
მრავალი ჩამორჩენია.
ვერ წავა ჩვენი ნუგეში
და ვერ დაგვტოვებს ობლათა...
მთავრობა ჩვენი უკეთესს
რას მიჰგვრის გლეხებს სოფლათა?

ავტომობილში ზის
ეგერ კომისარი:
შარშან რომ სპირტს ჰყიდდა,
მითხარ, ხომ ის არი?

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

(**უნამუსობა ᲐᲐ მოქმედებათ**).

მომქმედნი: 1) **ჯორტლინკ.** გენერალი.

2) **ტერ იუდიანც.** სომხის წარმომადგენელი, დაშნაკელი.

მოქმედება I (სწარმოებს ბათუმის ნავსადგურში).

ამბარცუმ ტერ-იუდიანცი... რაკი თქვენი სურვილი გახლავთ, ბ. გენერალო, მოგაგონებთ თუნდაც იმ უმნიშვნელო გარემოებას, რომ მავათი გვარდია და ჯარის ნაწილები ვალ. ჯუღელის და ალექსანდრე დგებუაძის მეთაურობით იბრძოდნენ გერმანელებთან ერთად თქვენ წინააღმდეგ ჯერ მარნასთან და შემდეგ ვერდენთანაც, სოლო მაგათი პრეზინდენტი, ნოე ჟორდანია, ჰინდენბურგს ჰყავდა შტაბის უფროსათ მთელი ომის განმავლობაში!..



.... ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას, ბ-ნო გენერალო: ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაშია, როგორც არაფერ შუაში იყო კრეისერ „ემდენის“ თარეშობის დროს.. იმ „ემდენის“, თქვენ რომ უთვალავი გემი დაგიღუპათ ომის დასაწყისში. განა არ მოგეხსენებათ, რომ „ემდენის“ უფროსი, ვალ. გოგუაძე, ტომით ქართველი გახლდათ?!. მაშ თქვენ არც ნიუ-იორკის მახლობლათ მომხდარ აფეთქების ნამდვილი მიზეზი გეცოდინებათ, აი საომარი მასალებისა და ტყვია-წამლის უზარმაზარი საწყობები რომ ააფეთქეს? ჰე-ჰე-ჰე! ჩვენში ბალღებმაც კი იციან, ვისი საქმე იყო ეს აფეთქება!

გენერ. ჯორტლინკი. ვისი?

ტერ-იუდიანცი. ვლასა მგელაძის, ბ. გენერალო: ვლასა მგელაძის! უმორჩილესათ გთხოვთ დამშვიდდეთ და დაივიწყოთ ყოველივე ეს, როგორც დაივიწყეთ ბურების აჯანყება, რომლის სულის ჩამდგმელნიც, თქვენის სულგრძელობის წყალობით, თავისუფლათ დასეირნობენ საქართველოში... ვინ სულის ჩამდგმელნიო, მკითხავთ თქვენ? აი თუნდ იმ დროს კრიუგერათ წოდებული სილიბისტრო ჯიბლაძე და აგრეთვე მაშინდელი „გენერალი ბოჭა“, ე. ი. სოსო გედევანიშვილი, რომელიც ბათომის პარტიზანულ რაზმით თავხედურათ ესხმოდა თქვენს ჯარებს...

....ბურების ამბავმა მუხანათურად დაღუპული გენერალისიმუსი კიტჩინერი მომაგონა! მისი უკვდავი სახელი გაჰკვეთს დაუსრულებელ დროთა სრბოლას და შარავანდედით გარემოცული იქნება მარადის, ხოლო წყევა-კრულვა იმ ჯოჯოხეთის კერძ მოღალატე ადამიანს, რომელმაც გაამეტა თქვენი გენიოსი მთავარსარდალი და ნაღმები ჩაუწყო მის გემს! მე ვიცი მისი სახელი!

გენერ. ჯორტლიანკი. სთქვით!!!

ტერ-იუდიანცი. აკაკი ჩხენკელი, გენერალო! როგორც ბაყაყი, ისე ცურავს წყალში აკაკი ჩხენკელი და სამ დღესა და ღამეს ატარებს ხოლმე არხეინათ ზღვის ტალღებში! იმან ჩაუწყო თავის ხელით ნაღმები გენ. კიტჩინერის გემს!..

მოქმედება II (სწარმოებს თბილისში).



სულ თავში რომ ურტყა
თუნდაც სამი სარი,
ქართამს ვერ დაივიწყებს
ჩვენი კამისარი.

უტო დუმილ, უტო ვიშლო?!!

ᲨᲢᲝ ᲓᲣᲛᲘᲚ:

-- ია დუმილ, ძეგვინცკი მოსტუ ნა ვოზდუხ ლეტალ ბუდით, ნაშ ჰდრო ნა ტიფლის ნასტუპალ ბუდით, ჰამ დენიკინ ნა სოხუმ, ჰამაც ანგლიჩან იზ ბათუმ პრიშოლ ბუდით, ჰაი ზინვორნერ ტიფლის ვზიალ ბუდით, გენერალ ჰდრო დვარეც ვაშოლ ბუდით, რაზნი რუზნი ჟორდანია-რამიშვილი, გეგეჭკორი-მეგეჭკორი პრაგნალ ბუდით, დავითხანიან ი თარხანიან პასადილ ბუდით, ტიფლის ნაშ ბუდით, არმიანცკი ნაროდ ვსო ვრემია „კეცე,კეცე ჰაიასტან“ კრიჩალ ბუდით!

ᲨᲢᲝ ᲕᲘᲨᲚᲝ:

— ძეგვინცკი მოსტუ ჩუთ-ჩუთ სლამალსუ, -- დვა დნია ვილეჩილსუ, ნაშ ჰდრო სავსემ ზახრამალსუ, დენიკინ კაკ იდიოტ ნამესტე სტაიალსუ, ანგლიჩან ვოვრემია ნე პამაგალსუ, ტიფლის მობილიზაცია რამიშვილი პამეშალსუ, არმიანცკი ვოისკ ი გენერალ ჰდრო ნაზად ბეჟალსუ, ჟორდანია-გეგეჭკორი ვა დვარეც სიდელსუ, დავითხანიან ი თარხანიან იზ პარლამენტ პრაგნალსუ, ტიფლის ვრაცერენ ასტალსუ, ნაშ ნაროდ არმიანცკი პანევოლე „კეცე, კეცე გრუზინცკი რესპუბლიკ“ კრიჩალსუ!

ვა, შტო დუმილ, შტო ვიშლო, და!

*
* *

უნდა მართალი მოგახსენოთ და გატეხილი:
— უკვე გარდავვლე, მე, ცხოვრების უღელტეხილი...
ორმოცი წელი შემისრულდა!.. იქით ვაწვები!
ხშირმა ჭალარამ შემიმოსა ტურფა ღაწვები.
განვვლე ბავშობა, სირყმის წელნი და სიჭაბუკე,
მათ წარიტაცეს ჩემი სიმხნე და სიჩაუქე.
რაღა ვარ ახლაᲐ
აჩრდილივით ვეჩანჩალები,
სიიქოსკენ მომიპყრია ბეჩავს თვალები.

ბევრის მომსწრე ვარ ამა ხანგრძლივ ჟამთა სრბოლაში.
(გვარდიასთანაც კი გლეხებივართ (ზოგჯერ) ბრძოლაში)
მახსოვს, —ამაშეთს რომის მეფე რო დაეძგერა
და მენელიკმა იტალია ვით მოიგერა.
მახსოვს, — ჰისპანეთს შეებრძოლა როს ამერიკა
(კუბა წაართვა მან, გაიტი და პორტორიკა.)
მახსოვს, —ბურებთან ბრძოლა დიდი, ბრძოლა გმირული.
ბოტა, კრონიე და დეეეტი თავგანწირული.
მახსოვს, —ჩინელთა აჯანყება და „დიდი მუშტი“,
როგორ ჩააქრო ის ევროპამ, ვით საპნის ბუშტი.
მახსოვს, —მე ომი (მსგავსი ძველათ არვის ჰქონია),
როდესაც რუსეთს შეეჯახა იაპონია..

მახსოვს მუკდენი, ბორტ-არტური და თვით ცუსიმა,
(„ყვითელი საფრთხე“ თვალწინ როგორ წამოიჭიმა,)
მახსოვს, თუ როგორ შეებრძოლა სტამბოლსა რომი
და იტალიამ ვით მოიგო ტრიპოლის ომი.
მახსოვს, — ოსმალეთს რო ეკვეთენ ბალკანელები ..
(ჯერ მტერი სძლიეს, მერე ერთურთს მიჰყვეს ხელები)
მახსოვს მე ომი უდიდესი... უკანასკნელი,
რომელიც მუსრავს მთელ ქვეყანას ხუთიოდ წელი.
მომსწრე ვარ ბევრის... მაგრამ რაცა ამბად მსმენია
სულ ცოტა რომ ვსთქვათ ათასიოდ ამოდენია.

მართალი გითხრათ, არც ვემდური საწუთროებას..
იმ დალოცვილმა, სჩანს მომასწრო რჩეულ დროებას.
ომი ომსა სდევს და არ უჩანს მათ დასასრული...
ვნაღვლობდი მხოლოდ, რომ ვერ ვნახე ომი ქართული.
ქვეყანა იბრძვის, ჩვენ გულ-ხელი დაგვიკრებია
და ვსხდევართ ისე, ცხონებული ვით სჯდა ბებია.
მტერი არ გვიჩანს... „მეგობრები“ გარს გვახვევია,
ისევე, როგორც საქართველოს ძველათ სჩვევია.
რუსები ჩვენზედ ლოცულობენ,
ჩვენს მზეს ფიცავენ...
„ეკონომიურ ინტერესებს“ ჩვენსას იცავენ.
ოსმალოს ხომ რა, მზე გურჯებზე ამოსდიოდა...
(და ახლაც „სძმოთ“, იმერეთზე თუ მოდიოდა)
სპარსელთა ძრახვას ვით გაჰბედავს ქართული ენა,
ღვაწლი მიუძღვით ჩვენს წინაშე მათ იმოდენა.
— ღმერთო მაღალო! (ვფიქრობდი მე)
რათ შემოგვწყერი?
რათ არ გვარგუნე ჩვენ, ქართველებს, თუნდ ერთი მტერი?

ვედრება ჩემი ზენაარსმა ისმინა ყურად
და აი, მტერიც თავს დაგვესხა მუხანათურად.
მძინარე ვაჟკაცთ მან
ქურდულათ დასჭრა ყელები.
(თქვენ ალბათ მიხვდით, რომ დაგვეცენ დაშნაკელები),
— საქართველოს წინ აღიჭურვა სომეხთა ჯარი!
აი, მოძმენო, სიბერის ჟამს რას მოვესწარი!!!
იელვა ხმალმა ადრინდულა, მამა-პაპურა,
და თავდამცველმა
თავდამსხმელი გაანადგურა,
მაგრამ....

ეს ჩვენი სიკოცხლე
ერთი წამის არი:
დროზე უნდა აჰკრა,
თუ ხარ კამისარი!

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ.

ჩვენი და თქვენი:

ვარლამს ალბათ ყველა თქვენგანი იცნობს.

ან კი რატომ არ უნდა იცნობდეთ, როცა ყველა საზოგადო საქმეში მას ნონაწილეობა მიუღია და თუ მსხვილი არა, თავისი წვლილი მაინც გამოაქვს.

და განა მარტო ამისთვის არის ცნობის ღირსი ვარლამ ბრაქაძე?

არა, მას ათასი სხვა ღირსებაცა აქვს, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას მის „ნიუხს“, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მის ალღოს აქცევენ.

შარშან წინ გაზაფხულზე, როცა მთელი ქვეყანა ხარობდა, როცა თითქმის ყველას გულში ია და ვარდი ჰყვაოდა, ვარლამი წითელი დროშის ქვეშ ამაყად იდგა და „მარსელიოზას“ ულვთოდ გაჰკიოდა. მე რო დამინახა, გადმოხტა, ხელი მაგრად ჩამომართო და მითხრა:

— როგორ არის **ჩვენი** საქმე, ამხანაგო მიხო?

— როგორც ხედავ... ჯერ-ჯეროობით ვგონებ არაფერი უშავს.

— შენ ყოველთვის ეგრე იცი; საქმეს სათუოდ აყენებ ხოლმე. ჩამილაპარაკა ვარლამმა, ხელი მაგრა ჩამომართო და გამშორდა.

ბოლშევიკების პირველი ეშელონი მესამასე ვერსზე დაბანაკდა და თფილისის „კონტრ-რევოლიუციონურ“ მენშევიკებს ულტიმატუმებს ლევაშივით უცხობდა. მოქალაქეთა შორის ათასი ერთი მეორეზე უფრო საშიშარი ჭორები იდგამდა ფესვებს. სწორეთ სასახლის ქუჩაზე გადავეყარე ჩემს მეგობარ ვარლამს.

— გაუმარჯოს! ჩვეულებრივის დაუზარებლობით მომესალმა ის და ზანტათ ხელი გამომიწოდა.

— გაუმარჯოს ჩემს ვარლამს... გავეპასუხე მე.

— როგორ არის **თქვენი** საქმე, მეგობარო? ვგონებ ეს ბოლშევიკები რაღაცას გიპირობენ.

— გვიპირობენ კი, თუ ხელი არ შეეშალათ. ვნახოთ რა გამოვა, ხომ გაგიგონია „აღდგომა და ხვალაო“.

ბოლშევიკების ეშელონები ნელ-ნელა ჩამოდნა. თფილისის წითელი გვარდია იმდენათ გათამამდა, რომ ქალაქის არსენალიც კი აიღო. ქუჩებში ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. უპირველეს ყოვლისა ბოლშევიკების პრესტიჟი დასცა და მათ ძლიერებას ძირი გამოეთხარა.

ვარლამი სწორეთ ამ ისტორიულ დღეს შემხვდა და სალამის მოცემისათანავე მხიარული კილოთი შემეკითხა:

— როგორ არის, მიხო, **ჩვენი** საქმე? ეგ არსენალი ძალიან ჩავიგდეთ ხელში. მე მგონია აწი ჩვენი საქმე...

— ჯერ ვინ იცის, მეგობარო, ბედის სასწორი დაუდეგარი რამეა. დღეს რომ შენსკენ დახრის თავს, – ხვალ სულ სხვა მხარეს გადაიზნიქება. ვინ იცის...

კარგა ხანი გავიდა მე ვარლამს არ შევყრივარ. კავკასიის ფრონტის ჯარისკაცთა მეორე ყრილობა იყო სახალხო სახლში. სტეფანე შაუმიანმა სამ დღეში მოახუცა მთავრობის თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი და ბოლოს (უცნობ ადრესზე) თავისი მთავრობაც გამოაცხადა კუზნეცოვის თანამშრომლობით. ვარლამი სახალხო სახლის წინ შემხვდა. მას ჩვეულებრივ მხიარული სახე ჰქონდა და მხიარული ღიმილითაც მომმართა:

— მიხოს გაუმარჯოს! რას ატუობ, როგორ არის **თქვენი** საქმე? ეს ჯარის კაცები სწორეთ უხეშ ძალას წარმოადგენენ.

— ჭეშმარიტათ უხეში არიან, მე მგონია მეტს ბაქი-ბუქობენ, ვიდრე ამის საბუთი აქვთ. ვნახოთ.

არჩევნები ახალ დამთავრებული იყო, როცა ვარლამი ტრამვაის ვაგონში ჩამოჯდა, ხელი მაგრა ჩამომართო და მითხრა.

— თუ არჩევნებს დაეჯერება რამე, **ჩვენი** საქმე კარგათ უნდა იყოს. ჩვენს დემოკრატიას, რაც უნდა იყოს კარგი შკოლა აქვს გავლილი და ისე ადვილათ მისი შეცდენა არ შეიძლება.

— ვინ იცის... შეგნებულიც ბევრი გვყავს, ჩემო ვარლამ და შეუგნებელიც. ჯერ კიდევ ნაადრევია ასეთი მოწმობების რიგება.

— კაცო, შენ მუდამ ეგრე იცი მითხრა ვარლამმა, ხელი ჩამომართო და ლადიძის ქარხნის წინ ჩამოხტა.

— ქუთაისის აჯანყება თუ დროზე არ ჩააქრეთ, **თქვენი** საქმე ძლიერ ცუდათ წავა.

ერთობ მღელვარე კილოთი მითხრა ვარლამმა და გადაშლილ გაზეთში მიმითითა ქრონიკის ერთერთ მუხლზე,

— ეგ არაფერია. ქურდებისა და მცარცველების დაწყნარება ადვილია. მიუგე მე და რასაკვირველია ვარლამიც დავითანხმე.

ქუთაისიდან დაბრუნებულ რაზმს ვარლამი შემთხვევით სადგურზე შეხვდა. გვარდიელების მხიარულმა სახემ მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. ის მყისვე მოიკრა ჩემთან; გადამკოცნა და მითხრა.

— ვიდრე ასეთი ძლიერი და შეგნებული დამცველი ეყოლება. **ჩვენს** საქმეს, როგორც ჩვენი გვარდიაა, რა თქმა უნდა საშიში არაფერი იქნება.

მე აღარ მახსოვს რა ვუპასუხე ამ ჭეშმარიტ მოსაზრებაზე ამხანაგ ვარლამს, მაგრამ მახსოვს ის, რომ ჩემი პასუხით კმაყოფილი არ დარჩენილა.

— შენ მუდამ ასე იცი, მიხო, მითხრა და მომშორდა.

არა მგონია თქვენთვის მაინც და მაინც დიდათ საინტერესო იყოს ჩემი და ვარლამის საუბარი საქვეყნო საქმეებზე, თქვენ მას ჩემზე ნაკლებ არ იცნობთ და არც ჩემზე ნაკლებ გიყვართ ვარლამი.

Ა 989
1919

ალვნიშნავ მხოლოდ ორიოდ განსაკუთრებულ შეხვედრას.

როცა გახულიგანებული ბრბო დუშელი ბოლშევიკებისა ბებრის ციხეს მოადგა და თფილისის ქუჩებში გასეირნებაზე ოცნებობდა, ვარლამი ფეხაკრეფით წამომეპარა უკანიდან, მხრებზე ხელი დამკრა და ეშპაკური ღიმილით მითხრა:

— კაპუტ! კაპუტ, ძმაო მიხო, **თქვენი** საქმე. ახლა თავს ვეღარ დააძვრენთ მგონია.

— არა, ჩემო კარგო ჩვენ უარესიც გვინახავს. ვნახოთ თავი ვის დარჩება დასაძვრენი.

დარიალიდან დაბრუნებისას ვარლამ ბრიქაძეს პირველთვე შევეხეჩე. ის ასე ვსთქვათ მეცხრე ცაზე იყო სიხარულით.

— იცი რას გეტყვი, მიხო?... ახლა დავრწმუნდი, **რომ ჩვენ** სახელმწიფოს მოვლა პატრონობა შეგვძლებია.

— რაზე ეტყობა, ჩემო ვარლამ, ჯერ სამაგისო არაფერი გაგვიკეთებია.

— სწორეთ შეუძლებელია შენთან ლაპარაკი, —წყრომით მომიგო ვარლამმა—როდემდის უნდა იყო, კაცო, ასე გულ გატეხილი ჩვენს სახელმწიფოებრივ ძალებზე?

— მანამდე ჩემ, ვარლამ, ვიდრე შენი ლექსიკონიდან არ ამოიშლება სიტყვა „თქვენი“.

ვარლამმა ჩემი პასუხი ვერ გაიგო, მაგრამ მისი სიხარული იმდენათ დიდი იყო, რომ შობისთვის სადილათ მიმიპატიჟა.

ეს ქვეყანა, ძმაო,
მხოლოდ სამის არის:
ღმერთის, ინგლისელის,
შემდეგ კამისარის!

„Нарту“

Мы выходимъ на борьбу съ великанами Глупости, Пошлости и Невѣжества.

„Нартъ“ № 1.

Если правду ваши баютъ, что клинъ клиномъ вышибаютъ, то нужно-ли было вамъ выпускать еще 2-ой номеръ, когда каждый изъ „великановъ“ уже отъ 1-го померъ.

სულ რომ ქვით ჩამქოლონ,
მომისიონ ერი,
მაინც ვიტყი: იღებს
მილიციონერი!

ᲛᲒᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ.



ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲠᲘ. ძმობა, ერთობა და სუყვარული—აი ქვაკუთხედი ჩვენი ურთიერთობისა
ᲥᲐᲩᲐᲖᲜᲣᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ. (გალობენ) და სულისაცა შენისათანა!